

მარეკ გერლე¹

სეპარატისტული დე ფაქტო სახელმწიფოები და ძალის გამოყენება: საქართველოს შემთხვევა.

(შემოკლებული ქართულენოვანი ვერსია)

აბსტრაქტი

ე.წ. დე ფაქტო სახელმწიფოები წარმოადგენენ სახელმწიფოს მსგავსი ერთეულების სპეციფიკურ კატეგორიას, რომლებიც აკმაყოფილებენ სახელმწიფოებრიობის ნორმატიული კრიტერიუმების უმეტესობას. მიუხედავად განსაზღვრულ ტერიტორიაზე მუდმივ მოსახლეობაზე საჯარო ხელისუფლების ფაქტობრივი განხორციელებისა, დე ფაქტო სახელმწიფოები კვლავ მოკლებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ სახელმწიფოებრივი აღიარების უფლებას. ასეთი დამოკიდებულების ერთ-ერთი გავრცელებული მიზეზია საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების სერიოზული დარღვევა ასეთი წარმონაქმნების შექმნის მომენტში. ვინაიდან ასეთი დე ფაქტო ერთეულების არსებობა ხშირად შეიარაღებული კონფლიქტის შედეგია, ძალის გამოყენების ჩვეულებითსამართლებრივი ნორმებით აკრძალვის შეუსრულებლობა კვლევის საინტერესო ობიექტს წარმოადგენს.

სტატიის მიზანია პასუხი გასცეს კითხვაზე, ხელს უშლის თუ არა ძალის უკანონო გამოყენება გამოყოფის პროცესში, დამოუკიდებლობისთვის სახელმწიფოსა კანონიერად შექმნას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. ნორმატიული ანალიზი ეფუძნება საქართველოს მაგალითს, რომლის სეპარატისტული რეგიონები, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, დე ფაქტო სახელმწიფოების ორი ემბლემატური არქეტიპია, რომლებიც შეიქმნა მესამე (მფარველი) სახელმწიფოს - რუსეთის ფედერაციის - მხარდაჭერით.

საკვანძო სიტყვები: დე ფაქტო სახელმწიფოები; ძალის გამოყენება; სახელმწიფოების შექმნა; იუს კოგენსი; სახელმწიფოების პასუხისმგებლობა; სახელმწიფოებრიობა; თვითგამორკვევა; გამოყოფა.

შესავალი

21-ე საუკუნის პირველი მეოთხედის მიწურულს, კვლავაც არსებობენ ისეთი ერთეულები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ აკმაყოფილებენ სახელმწიფოებრიობის ზოგიერთ ძირითად კრიტერიუმს, მაინც ვერ ახერხებენ საკუთარი ადგილის დამკვიდრებას საერთაშორისო არენაზე. სტატიაში გამოყენებულია ტერმინი *დე ფაქტო სახელმწიფოები*, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დისკურსში უმეტესწილად სწორედ მსგავსი ერთეულების აღსაწერად გამოიყენება, რაც მათი თვითგამოცხადებული

¹ დოქტორანტი, სამართლისა და იურისპრუდენციის მაგისტრი (Mgr. - Master of Arts), სპეციალიზაცია საერთაშორისო უსაფრთხოების სამართალში, ჩარლზის უნივერსიტეტი; უმცროსი დიპლომატი, დიპლომატიური აკადემია, ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ელ. ფოსტა: gerle@prf.cuni.cz.

სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივ ხასიათზე პირდაპირ მიანიშნებს.² მიუხედავად იმისა, რომ ამ ერთეულებს ერთმანეთისგან განსხვავებული ისტორიული და პოლიტიკური ფონი აქვთ, უმრავლესობას ახასიათებს ძალის გამოყენება დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის პროცესში – განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში.³ უნივერსალური აღიარების არარსებობის მიზეზები ხშირად უკავშირდება ზოგადი საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების დარღვევას.⁴ წინამდებარე სტატია ყურადღებას გაამახვილებს სწორედ ამ კონკრეტულ კატეგორიაზე.

უფრო ფართო პერსპექტივიდან შეფასებისას, ძალის გამოყენება სამართლებრივად დაშვებულია მხოლოდ იმ შეზღუდული გამონაკლისებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია გაეროს ქარტიითა და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლით, ძალის გამოყენების ზოგადი აკრძალვის ფარგლებში. იმ ნორმების დარღვევა, რომლებიც იმპერატიულ ხასიათს ატარებს, იწვევს სერიოზულ სამართლებრივ შედეგებს, მათ შორის, *erga omnes* ტიპის დამატებითი ვალდებულებების სახით, რაც უკავშირდება უკანონო მდგომარეობის არაღიარებას.⁵ ეს გარემოება შესაძლოა კრიტიკულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ზოგიერთი ე.წ. დე ფაქტო სახელმწიფოს დამოუკიდებლობის სამართლებრივი კანონიერებისა და პოტენციური ლეგიტიმაციის შეფასების თვალსაზრისით. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ამ სტატიის მიზანია პასუხი გასცეს შემდეგ კითხვას: „ხელს უშლის თუ არა გამოყოფის პროცესში ძალის უკანონო გამოყენება დამოუკიდებელი სახელმწიფოს კანონიერ შექმნას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად?“

აღმოსავლეთ ევროპაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე, დე ფაქტო სახელმწიფოები კვლავ საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრში მოექცნენ. სტატია ფოკუსირებულია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემთხვევებზე – საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებზე, რომლებმაც თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკებად გამოაცხადეს და რომლებიც აღიარებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, თუმცა, ამავე სახელმწიფოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად რჩებიან.

1. დე ფაქტო სახელმწიფოები

ე.წ. დე ფაქტო სახელმწიფოები (ზოგჯერ მოხსენიებული როგორც დე ფაქტო რეჟიმები)⁶ წარმოადგენენ კვაზისახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სპეციფიკურ კატეგორიას. ისინი აკმაყოფილებენ სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმთა ნაწილს,

² *Caspersen N.*, Playing the Recognition Game: External Actors and De Facto States, *The International Spectator*, Vol. 44, No. 4, 2009, 47.

³ *Caspersen N.*, Making Peace with De Facto States, Unrecognized States and Secession in the 21st Century, *Riegl M., Doboš B. (eds.)*, Cham, 2017, 11.

⁴ *Milano E.*, The Doctrine(s) of Non-Recognition: Theoretical Underpinnings and Policy Implications in Dealing with De-Facto Regimes, *Proceedings of The Power of International Law at Times of European Integration*, Budapest, 2007, 5.

⁵ *Kolb R.*, *Peremptory International Law - Jus Cogens: A General Inventory*, Oxford, 2015, 106-108.

⁶ *Ondřej J.*, The Creation of New States and De Facto Regimes, and the Case of Crimea, *Czech Yearbook of International Law*, Vol. 6, 2015, 131-147.

რომლებიც საერთაშორისო სამართლის მიერ ზოგადად აღიარებულია ფუნდამენტურ წინაპირობებად იმისათვის, რომ ერთეული მიჩეულ იქნეს სახელმწიფოდ, ანუ საერთაშორისო სამართლის ძირითად სუბიექტად.⁷ მათი დე ფაქტო ხასიათი ამკარად ვლინდება იმ ფაქტობრივი გარემოებიდან, რომ მათ გააჩნიათ სახელმწიფოებრიობისთვის დამახასიათებელი კონსტიტუციური ელემენტები – მუდმივი მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე საკუთარი ეფექტური მმართველობის ქვეშ.⁸ მიუხედავად ამისა, სხვა სახელმწიფოებთან ფორმალური ურთიერთობების დამყარების უნარის არარსებობა, რაც გამოწვეულია საერთაშორისო თანამეგობრობის დიდი უმრავლესობის უარით, აღიარონ (და ამგვარად ლეგიტიმაცია მიანიჭონ) წარსულში უკანონო ქმედების შედეგად წარმოქმნილ გარკვეულ ფაქტობრივ მდგომარეობას, ხელს უშლის ერთეულის მიერ სხვა სუბიექტებთან თანაბარი სამართლებრივი სტატუსის მიღწევას.

დე ფაქტო სახელმწიფოების ფენომენმა აღორძინება ცივი ომის დასასრულს აღმოსავლეთ ბლოკის დიდი ფედერაციების დაშლის შემდეგ განიცადა. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი წარმოადგენენ პოსტსაბჭოთა სივრცეში დე ფაქტო სახელმწიფოების არქეტიპულ მაგალითებს, რომლებიც შექმნილი და შენარჩუნებულია მესამე მხარის (რუსეთის ფედერაციის) ძალისმიერი ჩარევის გზით.⁹

ფართოდ არის აღიარებული, რომ ზოგად საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ცალსახა ნორმატიული რეგულაცია, რომელიც ერთმნიშვნელოვნად კრძალავს, ან ნებას რთავს ცალმხრივ გამოყოფას. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც ცალმხრივი გამოყოფის აქტზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საერთაშორისო სამართლის წინა ან თანმდევი მძიმე დარღვევა, რაც თავად გამოყოფის ბუნებას აყენებს ეჭვქვეშ. კოსოვოს საქმეში მართმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (შემდგომში - ICJ) მიუთითებს, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციების უკანონო ხასიათი შესაძლოა გამომდინარეობდეს მათი კავშირიდან „ძალის უკანონო გამოყენებასთან ან ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნორმების სხვა უხეშ დარღვევებთან, განსაკუთრებით კი იმ ნორმებთან, რომელთაც იმპერატიული (იუს კოგენს) ხასიათი გააჩნიათ.“¹⁰ ეს პოზიცია დასტურდება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში ცალმხრივი გამოყოფის აქტების დაგმობის პრაქტიკით, მათ შორის, თვითგამოცხადებული

⁷ დე ფაქტო სახელმწიფოების ზოგადი განმარტებისა და დეტალური ანალიზისთვის იხილეთ: *Pegg S.*, *International Society and the De Facto State*, London, 2019, 36 et seq.

⁸ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ კრიტერიუმების შესრულების ხარისხი არსებითად განსხვავდება კონკრეტული შემთხვევის მიხედვით. *Convention on Rights and Duties of States*, adopted by the Seventh International Conference of American States, Montevideo, 26 December 1933, *League of Nations Treaty Series*, Vol. 165, art. 1.

⁹ საქართველოს მიერ აღნიშნულ ტერიტორიებთან მიმართებით ოფიციალურად გამოყენებული სახელწოდებებია: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ცხინვალის რეგიონი.

¹⁰ *Accordance with International Law of the Unilateral Declaration of Independence in Respect of Kosovo*, *Advisory Opinion*, [2010] *ICJ Reports*, 403, para. 81.

ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის, სამხრეთ როდეზიისა და სერბთა რესპუბლიკის შემთხვევებში.¹¹

სახელმწიფოებრიობაზე პრეტენზიის მქონე სეპარატისტული წარმონაქმნის აღიარებისგან თავის შეკავების მიზეზები შესაძლოა მრავალფეროვანი იყოს.¹² სტატიის მთავარი აქცენტი კეთდება იმგვარი სახელმწიფოს შექმნის არაღიარებაზე, რომელიც ეფუძნება უკანონო მდგომარეობას და იწვევს ზოგიერთი სეპარატისტული თვითმმართველი ერთეულის *დე ფაქტო* სტატუსის შენარჩუნებას მსოფლიოს მასშტაბით.

2. ძალის გამოყენება

ძალის გამოყენების სამართლებრივი რეჟიმი წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა და გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურის არსებით შემადგენელ ნაწილს. გაეროს წესდებაში ჩამოყალიბებული ფუნდამენტური აკრძალვის პარალელურად, ძალის გამოყენების ნორმატიული რეჟიმი ICJ-მ ცნო საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმად.¹³ რადგან ძალის გამოყენება გარკვეულწილად დამახასიათებელია *დე ფაქტო* სახელმწიფოებისთვის, აუცილებელია მისი ნორმატიულობის სიღრმისეული გაანალიზება ამ კონკრეტულ კონტექსტში.

აკადემიური წრეების აბსოლუტური უმრავლესობა, ისევე როგორც საერთაშორისო სამართლის ძირითადი ინსტიტუტები, მათ შორის, როგორცაა საერთაშორისო სამართლის კომისია, ამ აკრძალვას *jus cogens*-ის არქეტიპად მიიჩნევენ.¹⁴ მოსამართლე ელარაბი ამ პოზიციას ასახავს თავის განსხვავებულ აზრში ICJ-ის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში „კედლის საქმესთან“ დაკავშირებით, სადაც აღნიშნავს: „*ძალის გამოყენების აკრძალვა [...] საყოველთაოდ აღიარებულია როგორც იუს კოგენს პრინციპი — იმპერატიული ნორმა, რომლისგანაც არავითარი გადახვევა არ დაიშვება.*“¹⁵ ამრიგად, რა მნიშვნელობა აქვს ძალის გამოყენების აკრძალვის იმპერატიულ ხასიათს *დე ფაქტო* სახელმწიფოებისთვის?

დამატებითი განმარტებების გარეშეც ცხადია, რომ იუს კოგენს ვალდებულებების სერიოზული დარღვევა წარმოადგენს საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო ქმედების, როგორც ფუნდამენტური ცნების, განსაკუთრებულ შემთხვევას.¹⁶ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულების

¹¹ United Nations Security Council, Resolutions 216 (1965) and 217 (1965) on Southern Rhodesia; Resolution 541 (1983) on Cyprus; and Resolution 787 (1992) on the Republika Srpska.

¹² იხ.: *Caspersen N.*, Collective Non-Recognition of States, Routledge Handbook on Recognition of States, 2020, 231-240.

¹³ Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America), Judgment, [1986] ICJ Reports, para. 190; Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda), Judgment, [2005] ICJ Reports, paras. 23-24, 28.

¹⁴ *Green J. A.*, Questioning the Peremptory Status of the Prohibition of the Use of Force, Michigan Journal of International Law, Vol. 32, 2011, 215-216.

¹⁵ Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, Advisory Opinion, [2004] ICJ Reports, 136, at 254 (Separate Opinion of Judge Elaraby).

¹⁶ იხ.: *Linderfalk U.*, Understanding Jus Cogens in International Law and International Legal Discourse, Cheltenham, 2020, 196 et seq.

დარღვევის ჩვეულებრივ შედეგებთან ერთად, მუხლები სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ საერთაშორისოდ უკანონო ქმედებებისთვის (ARSIWA) განსაზღვრავს იმ განსაკუთრებულ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც წარმოიშობა იუს კოგენსის ნორმების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, შემდეგ ვალდებულებებს: 1) არ ცნოს სამართლებრივად ის ვითარება, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიქმნა;¹⁷ 2) არ გაუწიოს დახმარება და არ შეუწყოს ხელი აღნიშნული მდგომარეობის შენარჩუნებას;¹⁸ 3) ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოებთან, რათა სამართლებრივი გზებით მოხდეს აღნიშნული სერიოზული დარღვევის (შეჩერება) შეწყვეტა.¹⁹

ამის საპირისპიროდ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარების ინსტიტუტი განეკუთვნება სახელმწიფოს რეგალიურ კომპეტენციებს. იმ ვითარებაში, როდესაც აღნიშნული მახასიათებლის სამართლებრივი რეგულირება არ არსებობს, იგი სეპარატისტულ სუბიექტებთან და მათი საერთაშორისო აღიარების პერსპექტივასთან მიმართებით აშკარად თვითნებურ შთაბეჭდილებას ტოვებს. მიუხედავად ამისა, *კოსოვოს* საქმეში ICJ-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობის ზოგიერთი დეკლარაცია შეიძლება ჩაითვალოს უკანონოდ, თუ იგი დაკავშირებულია „ძალის უკანონო გამოყენებასთან ან ზოგად საერთაშორისო სამართლის ნორმების სხვა განსაკუთრებით მძიმე დარღვევებთან, რომლებიც იმპერატიულ ხასიათს ატარებენ.“²⁰ ასეთ შემთხვევაში, აშკარაა, რომ მოცემული „სახელმწიფოს“ დამოუკიდებლობის აღიარება წინააღმდეგობაში მოვა არაღიარების პრინციპთან, რომელიც დაკავშირებულია ძალის უკანონო გამოყენების სამართლებრივად მძიმე შედეგებთან. ამრიგად, ნებისმიერი გადახვევა იმ ვალდებულებიდან, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის სერიოზული დარღვევიდან, წარმოადგენს აღნიშნული დამატებითი ვალდებულების შეუსრულებლობას.

საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის სერიოზული დარღვევით შექმნილი მდგომარეობის ლეგიტიმაციის არაღიარების ვალდებულება ზღუდავს ნებისმიერ სახელმწიფოს ასეთი ერთეულის შექმნის აღიარებისგან. ავტორის შეფასებით, დადგენილია, რომ გამოყოფის პროცესში ძალის უკანონო გამოყენება ფაქტობრივად გამორიცხავს დამოუკიდებელი სახელმწიფოს კანონიერ შექმნას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

3. საქართველოს შემთხვევა: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი

საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებული საერთო არასტაბილურობა გადაიზარდა რეგიონული კონფლიქტების სერიაში, რომელთაგან ნაწილი დასრულდა დამოუკიდებლობა მოპოვებული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიური ერთეულების დე ფაქტო გამოყოფით. საქართველო, რომელიც

¹⁷ Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts (ARSIWA), annexed to UN General Assembly Resolution 56/83 (12 December 2001), UN Doc. A/RES/56/83, art. 41 (2).

¹⁸ იქვე, ბოლოში.

¹⁹ იქვე, art. 41 (1).

²⁰ Accordance with International Law of the Unilateral Declaration of Independence in Respect of Kosovo, Advisory Opinion, [2010] ICJ Reports, 403, para. 81.

ორჯერ დაექვემდებარა ძალის გამოყენებას რუსეთის ფედერაციის მიერ მხარდაჭერილი ორი დე ფაქტო რეჟიმის მხრიდან, წარმოადგენს უნიკალურ შემთხვევას თანამედროვე მსოფლიოში.

საქართველო, როგორც ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მყოფი სახელმწიფო (*in statu nascendi*), სამოქალაქო ომის შედეგად შექმნილ არასტაბილურ პირობებში, შეზღუდული იყო შესაძლებლობით, სამხედრო გზით დაებრუნებინა სეპარატისტული რეგიონები და უზრუნველყო მათი ეფექტური ინტეგრაცია. თუმცა, ერთ-ერთ მთავარ გარემოებად, რომელმაც სამხედრო მოქმედებებზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა, რჩება მესამე მხარეთა ჩართულობა, განსაკუთრებით, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალებისა და პარამილიტარისტული დაჯგუფებების მხრიდან.²¹ მათი ჩართულობა განსაკუთრებული სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია იმ შედეგების თვალსაზრისით, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნული სეპარატისტული სახელმწიფოების შექმნის ლეგიტიმაციის საკითხთან. რუსეთის ფედერაციის მიერ ძალის გამოყენების სავალდებულო აკრძალვის სერიოზული დარღვევის საკითხი დიდწილად დამოკიდებულია ჩადენილი ქმედებების სამართლებრივ კვალიფიკაციასა და მათი რუსეთის სახელმწიფოსთვის მიკუთვნებადობის დადგენაზე.

არსებული ინფორმაციით, რუსეთის სამხედრო ძალები ღიად ჩაერთვნენ საბრძოლო მოქმედებებში. 1993 წელს საქართველოს მიერ კონტროლირებულ სოხუმზე განხორციელებული საჰაერო დაბომბვა და შემდგომ დაწყებული სახმელეთო შეტევა წარმოადგენს ფაქტობრივ მტკიცებულებას იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია ძალადობრივი სამხედრო მოქმედებების გზით უშუალოდ მონაწილეობდა კონფლიქტში.²² მსგავსი ქმედება მარტივად შეიძლება მიეკუთვნოს მესამე (მფარველ) სახელმწიფოს. თუმცა, ამ შემთხვევის მიღმა, რუსეთის არმიის პერსონალის მიერ განხორციელებული სხვა მნიშვნელოვანი სამხედრო ოპერაციები დოკუმენტურად იშვიათად არის დაფიქსირებული.

მიუხედავად ამისა, პირდაპირი სამხედრო მოქმედებების გარკვეული მოცულობა, ადგილობრივ ამბოხებულთა მხარდასაჭერად გაწეული სხვა სახის დახმარებასთან ერთად,²³ შესაძლოა საერთო ჯამში შეფასდეს, როგორც ძალის გამოყენების აკრძალვის დარღვევა. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე ყოფილ საბჭოთა სამხედრო ბაზებში განთავსებული რუსი ჯარისკაცები ანაწილებდნენ იარაღს, საბრძოლო მასალასა და სხვა სახის სამხედრო აღჭურვილობას, რაც საჭირო იყო უფრო ძლიერ ქართულ არმიასთან ეფექტური ბრძოლისთვის.²⁴ ICJ-მ *ნიკარაგუას* პრეცედენტულ საქმეში, რომელიც ეხებოდა მესამე სახელმწიფოს მიერ ამბოხებულთა მხარდაჭერას, დაადგინა: „(...) შეიარაღება

²¹ სხვა მეომარ ძალებს შორის იყო, მაგალითად, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია, ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი მილიტარიზებული ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ჩეჩენი ტერორისტი შამილ ბასაევი.

²² *Cornell S. E.*, *Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus*, London, 2001, 339-340.

²³ Human Rights Watch Arms Project/Helsinki, Vol. 7, No.7, 1995, 52-53, 38.

²⁴ *Zürcher C.*, *The Post-Soviet Wars: Rebellion, Ethnic Conflict, and Nationhood in the Caucasus*, New York, 2007, 141; *König M.*, *The Georgian-South Ossetian Conflict*, OSCE Yearbook 2004, ISFH, 2005, 241.

და წვრთნა (...) უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს ძალის გამოყენების ან ძალის გამოყენებით მუქარის შემცველ ქმედებად (...).²⁵ იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი ცნობებისა და ორგანიზებული ჯგუფების წახალისებასა და მხარდაჭერაში რუსეთის ფედერაციის მიმართ არსებული ბრალდებების გათვალისწინებით, ავტორის შეფასებით, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ რუსეთის ფედერაციამ უკანონოდ გამოიყენა ძალა.²⁶

გარდა ამისა, პირთა ჯგუფების ქმედებების საკითხს, რომლებიც შესაძლოა მიეკუთვნებოდნენ მფარველ სახელმწიფოს,²⁷ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დე ფაქტო სახელმწიფოების კონტექსტში, განსაკუთრებით კი ყოფილი საბჭოთა კავშირის სეპარატისტულ კონფლიქტებში. სეპარატისტი მემბოხეების შემთხვევაში განსაკუთრებით რთულია იმის დამტკიცება, რომ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად გამოყენებული ძალა მესამე სახელმწიფოს კონტროლის გარეშე არ იქნებოდა გამოყენებული.²⁸ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ინფორმაცია სამხედრო კამპანიებთან კავშირში ამბოხებულთა აღჭურვის, მათთვის სამხედრო რესურსების მიწოდებისა და ზოგჯერ მათ ორგანიზებაში მონაწილეობის შესახებ,²⁹ არც ერთი მტკიცებულება არ მიუთითებს რუსეთის ფედერაციის მიერ ისეთი დონის კონტროლზე ორგანიზებულ ჯგუფებზე, როგორც შეერთებულ შტატებს ჰქონდა ნიკარაგულ კონტრრევოლუციონერებთან ურთიერთობაში, რაც, თავის მხრივ, სასამართლოს მიერ არასაკმარისად იქნა მიჩნეული.³⁰ დასკვნის სახით, პირდაპირი სამხედრო ძალადობისა და ორგანიზებული ჯგუფების შეიარაღების გზით რუსეთის ჩართულობა 1990-იანი წლების სეპარატისტულ ომებში წარმოადგენს ძალის გამოყენებას, რაც აკრძალულია გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით. მეორე მხრივ, ამბოხებულთა ქმედებები მიეკუთვნება მხოლოდ თავად ამ ჯგუფებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, ჰქონდა თუ არა რუსეთის უკანონო სამხედრო ჩართულობას გადამწყვეტი გავლენა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის (დე ფაქტო) დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებაზე. ავტორის შეფასებით, ზემოაღნიშნული ქმედებები არ ასახავს პირდაპირ და გამოკვეთილ მიზეზობრივ კავშირს³¹ რუსეთის მიერ ძალის გამოყენების აკრძალვის დარღვევასა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შექმნას შორის.

²⁵ Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America), Judgment, [1986] ICJ Reports, para. 228.

²⁶ Kozhokin E. M., 'Georgia-Abkhazia', US and Russian Policymaking with Respect to the Use of Force, *Azrael J. R., Payin E. A. (eds.)*, 1996, 80.

²⁷ Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts (ARSIWA), annexed to UN General Assembly Resolution 56/83 (12 December 2001), UN Doc. A/RES/56/83, art. 8.

²⁸ Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America), Judgment, [1986] ICJ Reports, para. 115.

²⁹ Cornell S. E., *Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus*, London, 2001, 340-341.

³⁰ იქვე; შეადარეთ: Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America), Judgment, [1986] ICJ Reports, paras. 110, 115.

³¹ Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro) (Merits), [2007] ICJ Reports, 43, para. 462.

მიუხედავად ამისა, ეს თავისთავად არ იძლევა დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ ორი სეპარატისტული რესპუბლიკის გამოყოფის პროცესი თავისუფალი იყო ზოგადი საერთაშორისო სამართლის სხვა სერიოზული დარღვევებისგან. გარდა ძალის გამოყენების საკითხზე სტატიაში გაკეთებული ძირითადი აქცენტისა, ჩაურევლობისა და სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის ფუნდამენტური ჩვეულებითი პრინციპების შეუსრულებლობის საკითხი საჭიროებს განხილვას უფრო ფართო პერსპექტივაში. რუსეთის ფედერაციის ქმედება, რომელიც მოიცავდა სეპარატისტული და აჯანყებული მოძრაობებისთვის სხვადასხვა სახის დახმარების გაწევას, შესაძლოა შეფასდეს, როგორც არალეგიტიმური ჩარევა სუვერენული სახელმწიფოს შიდა საქმეებში. ძალის გამოყენებამ, სახელმწიფოს (საქართველოს) შიდა საქმეებში ჩარევის სხვა ფორმებთან ერთად, არსებითად დაარღვია მისი სუვერენიტეტი. ზოგადი საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულებების უხეში დარღვევის შედეგად, ვერ განხორციელდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკების“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად სამართლებრივი გზით ჩამოყალიბება.

დასკვნა

ზოგადი საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის სერიოზული დარღვევით შექმნილი მდგომარეობის არალიარების ვალდებულება ზღუდავს ნებისმიერ სახელმწიფოს ასეთი ერთეულის შექმნის აღიარებისგან. ავტორის შეფასებით, გამოყოფის პროცესში ძალის უკანონო გამოყენება ფაქტობრივად გამორიცხავს დამოუკიდებელი სახელმწიფოს კანონიერ შექმნას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

თუმცა სტატიის მეორე ნაწილში წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე, ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული სეპარატისტული რეგიონების გამოყოფის პროცესში რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყენებული ძალის დონე არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ სახელმწიფოს შექმნა უკანონოდ ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასება სცდება სტატიაში განსაზღვრული ანალიზის ფარგლებს, ავტორი საჭიროდ მიიჩნევს ყურადღების გამახვილებას იმაზე, რომ აღნიშნული დასკვნა არ მიუთითებს, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი კანონიერად შექმნილი სახელმწიფოებია.